სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

02 ოქტომბერი, 2024 წ.

ბრძანება N01-02/175

ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, „ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N6 გადაწყვეტილების, ,,პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის **მინისტრის 2024 წლის 01 ივლისის № 113/ნ ბრძანების,** ,,2024-2025 სასწავლო წლისათვის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე/სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა დაფინანსების მოცულობისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ" **საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 აგვისტოს N257 დადგენილების,** „ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის **„სპეციალური მასწავლებლის მომზადების" 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის** დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №06-01/133 დადგენილების (ცვლილებები N06-01/75, 12.09.2024წ. დადგენილებით), „2024–2025 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 12 სექტემბრის №06–01/68 დადგენილების** საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **დამტკიცდეს** ბსუ-ს სპეციალური **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე** (60 კრედიტიანი) ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტთან გასაფორმებელი **ხელშეკრულების** თანდართული ფორმა **(დანართი 1).**
2. ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანის ოფისის მიერ, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან კოორდინირებული მუშაობით და ბსუ-ს მხრიდან ხელმოწერილი იქნეს რექტორის მიერ (დამოწმდეს რექტორის ფაქსიმილიით).
3. ბსუ-ს **სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე** ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აპლიკანტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები აღირიცხოს (დაინომროს და გატარდეს ჟურნალში) ბსუ-ს **რექტორის 2019 წლის N01-02/137 ბრძანებით** დადგენილი წესის ანალოგიურად,

პროგრამის დასახელების, ფაკულტეტის, კალენდარული წლის და რიგითი ნომრის მიხედვით სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებით (მარჯვნიდან მარცხნივ), კერძოდ:

ა) სარეგისტრაციო ნომრის ბოლო სიმბოლოდ მიეთითოს პროგრამის შემოკლებული დასახელება - ,,სპ.მ"და გამოიყოს დახრილი ხაზით;

ბ) დახრილი ხაზის შემდეგ მიეთითოს შესაბამისი ფაკულტეტისათვის ბსუ-ს რექტორის ბრძანებით მინიჭებული ორნიშნა კოდი, ხოლო შემდეგ - კალენდარული წლის ბოლო ორი ციფრი და დეფისი;

გ) დეფისის შემდეგ მიეთითოს გაფორმებული ხელშეკრულების რიგითი ნომერი და გამოიყოს დახრილი ხაზით;

დ) დახრილი ხაზის შემდეგ მიეთითოს ბსუ-ს საქმეთა ნომენკლატურით შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულებისათვის განსაზღვრული სარეგისტრაციო ნომერი.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ.№30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი მერაბ ხალვაში

,,ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 02 ოქტომბრის N 01-02/175 ბრძანების
დანართი 1

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი "____"_____" 20___წ.

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“ ან ,,ბსუ“), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის ---------- მიერ და მეორე მხრივ **ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე** (60 კრედიტიანი) **ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირი** _____ (შემდგომში ,,სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხული პირი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია უნივერსიტეტსა და **ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე** (შემდეგში - პროგრამა) ჩარიცხულ პირს შორის ურთიერთობის რეგულაცია, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის **(შემდეგში - მინისტრის) ბრძანებით დამტკიცებული** ,,პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის“, ასევე ,,სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა დაფინანსების მოცულობისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის და მინისტრის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

1.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით სტუდენტისათვის განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები სრულად გავრცელდება ბსუ-ს ,,სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხულ პირზე" (თუკი წინამდებარე ხელშეკრულება ან/და საქართველოს კანონმდებლობა სხვაგვარად არ განსაზღვრავს ან/და არ აწესრიგებს შესაბამის ურთიერთობას).

1.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ბსუ-ს ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილად.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. ,,სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხული პირის"**უფლებებია:**

ა) მიიღოს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება;

ბ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება, გაასაჩივროს მიღებული შეფასების შედეგები ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დადგენილ ვადაში;

გ) თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ) მონაწილეობა მიიღოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებაში, ასევე სასწავლო პროცესის და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვა სერვისების შეფასებაში;

ე) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დაწესებული სტუდენტის უფლებებით.

2.2. ,,სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხული პირი" **ვალდებულია:**

ა) შეასრულოს **ბსუ-ს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის** (60 კრედიტიანი) მოთხოვნები, დადგენილ ვადაში გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია (დაარეგისტრიროს სასწავლო კურსები) და შეასრულოს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული აკადემიური აქტივობა;

ბ) გადაიხადოს პროგრამაზე სწავლის საფასური (გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია), ბსუ-ს სწავლის საფასურის გადახდის წესის შესაბამისად (თუკი არ აქვს მოპოვებული სახელმწიფო დაფინანსება);

გ) სისტემატიურად/აქტიურად ისარგებლოს/გამოიყენოს ბსუ-ში სასწავლო პროცესის მართვისათვის განსაზღვრული ელექტრონული სერვისები (,,სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა"/,,სტუდენტური პორტალი"), რომელთა საშუალებით მიეწოდება უნივერსიტეტის შეტყობინებები/ინფორმაცია, სასწავლო პროცესისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების თაობაზე;

დ) უნივერსიტეტთან კომუნიკაციისათვის (ინფორმაციის, ცნობების მიღება) ისარგებლოს ბსუ-ს პორტალით და პირადი მონაცემების ცვლილების შემთხვევაში წარმოადგინოს ინფორმაცია ბსუ-ს პორტალზე/ელექტრონულ სისტემაში, მის პირად პროფილში ასახვის მიზნით;

ე) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს, რომლებიც აისახება ბსუ-ს ვებგვერდზე ,,სტუდენტის გზამკვლევში" (რეგულაციები), განთავსდება უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/სტუდენტურ პორტალზე/კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე/უნივერსიტეტის ვებგვერდზე (**www.bsu.edu.ge.**);

ვ) სარგებლობისას გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, არ დაუშვას უნივერსიტეტის შენობის, სასწავლო ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკისა და უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა მატერიალურ-ტექნიკური ქონების დაზიანება ან/და უდიერად მოპყრობა; დროულად დააბრუნოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნები და მასალები და დაიცვას ,,ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის" მოთხოვნები;

ზ) ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის და უნივერსიტეტის შესაბამისი რეგულაციის მოთხოვნები.

2.3. **უნივერსიტეტი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურებით ,,სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხული პირი";

ბ) უზრუნველყოს ,,სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხული პირის" მიერ უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით და თანაბარ პირობებში უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით სარგებლობა;

გ) ,,სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხული პირის" ცოდნა შეაფასოს სამართლიანად და უზრუნველყოს მის მიერ მიღებული შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლების რეალიზაცია;

დ),,სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხული პირი" უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ასევე სასწავლო პროცესის და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვა სერვისების შეფასებაში მონაწილეობის უფლებით;

ე) არ დაუშვას ,,სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხული პირის" დისკრიმინაცია, ასევე უზრუნველყოს მისი პერსონალური ინფორმაციის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ვ) უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს ,,სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხული პირის" მიერ საქართველოს კანონმდებლობით, კანონქვემდებარე აქტებით, ასევე ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დაწესებული უფლებებით სარგებლობას.

2.4. **უნივერსიტეტი უფლებამოსილია:**

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, განსაზღვროს სასწავლო წლის კალენდარი, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის (სწავლის საფასურის გადახდის) ვადები;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განსაზღვროს ეთიკის ნორმები, შინაგანაწესი, სასწავლო პროცესის განხორციელების რეგულაცია, ,,სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხული პირის" სტატუსის შესახებ სამართლებრივი აქტების გამოცემის წესი და ვადები.

მუხლი 3. სწავლის საფასური

3.1. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (60 კრედიტიანი) სწავლის საფასური შეადგენს **2250 ლარს.**

3.2. სწავლის საფასური გადახდილი უნდა იქნეს სემესტრულად, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული **,,სწავლის საფასურის გადახდის წესის"** შესაბამისად (შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289 - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური; დანიშნულებაში უნდა მიეთითოს: ,,სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხული პირის" სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ბსუ-ს პროგრამის დასახელება);

3.3. სასწავლო სემესტრის დაწყებისა და დასრულების თარიღი (აკადემიური კალენდარი), ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდი, განისაზღვრება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით, რომელიც ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (ველში ,,სწავლა").

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და პროგრამაზე ჩარიცხულის სტატუსი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ---------- სასწავლო წლიდან და მოქმედებს ბსუ-ს ,,სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სტატუსის შეწყვეტამდე პერიოდში;

4.2. სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან, სრულად შეასრულონ სტატუსის შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებები. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.3. უნივერსიტეტის სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხული პირის **სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:**

ა) პირადი განცხადება;

ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;

დ) **ჯამში 5 წლის განმავლობაში** სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის **სტატუსის შეჩერება,** გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ე) გარდაცვალება.

ვ) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერისტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

4.4. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის **სტატუსის შეჩერებად** განიხილება ბსუ-ს და სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისგან, თუმცა აღნიშნული არ ათავისუფლებს მათ სტატუსის შეჩერებამდე წარმოშობილი ვალდებულების შესრულებისგან.

4.5. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის **სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:**

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) ადმინისტრაციული (სწავლის საფასურის გადახდა) ან/და აკადემიური რეგისტრაციის (სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის) გაუვლელობა;

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სხვა აქტებით განსაზღვრული შემთხვევები.

4.6. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის **სტატუსის** მოპოვების, სტატუსის შეჩერების, სასწავლო პროცესში დაბრუნების და სტატუსის შეწყვეტის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით".

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დამუშავება

5.1. ,,სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხული პირი" წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს წერილობით თანხმობას მისი პერსონალური მონაცემები უნივერსიტეტის მიერ დამუშავდეს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის ,,საქმისწარმოების ინსტრუქციის" და ,,სტუდენტთა ელექტრონული სერვისების ადმინისტრირების წესის" მოთხოვნათა დაცვით, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან და სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე (ბსუ-ს პორტალზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში განთავსება და სხვა).

5.2. ბსუ-ში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ სრული ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, ,,სტუდენტთა გზამკვლევში" (თავი ,,სტუდენტის უფლებები, ვალდებულებები და პერსონალური მონაცემების დამუშავება").

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს ხელშეკრულება, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6.2. მხარეთა შორის დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუკი მხარეთა შორის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, თითოეულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების თითოეულ მხარეს.

6.4. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

,,უნივერსიტეტი"	,, სპეც.მასწავლებლის პროგრამაზე ჩარიცხული პირი"
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახელი, გვარი _ _ _